

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის

სამსახურის 2023 წლის ექვსი თვის ანგარიში

1. ექვს თვეში თვეში სამედიცინო მომსახურების ღირებულების დაფინანსება მიიღო 686 ბენეფიციარმა. ჯამში შეადგინა **546 730** (ხუთასორმოცდაექვსიათას შვიდასოცდაათი) ლარი.

ა) სოციალურად დაუცველი - 96 ბენეფიციარი.

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე - 67 ბენეფიციარი.

გ) ვეტერანი - 8 ბენეფიციარი.

დ) მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირები-10

2. აუტისტური სპექტრის და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე 50 ბენეფიციარს გაეწიათ ფინანსური დახმარება. ჯამში **96 876** (ოთხმოცდათექვსმეტიათას რვაასსამოცდათექვსმეტი) ლარი.

3. თირკმლის ქრონიკული დაავადების მქონე, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ 21 ბენეფიციარს გაეწიათ ფინანსური დახმარება თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ჯამში **23 800** (ოცდასამიათას რვაასი) ლარი.

4. ცელიაკით დაავადებულ ხუთ ბენეფიციარს გაეწია დახმარება თითოეულს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. სულ **5000** (ხუთიათასი) ლარი.

5. ჟანგბადის აპარატით სარგებლობს 8 (რვა) ბენეფიციარი.

6. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცა **476** ბენეფიციარზე, აქედან 200 ლარიანი ერთჯერადი დახმარება მიიღო 150 ბენეფიციარმა. სულ **62 600** (სამოცდაორიათას ექვსასი) ლარი.

7. მესამე შვილის შეძენის **გამო 42 ბენეფიციარს** გაეწია ფინანსური დახმარება თითოეულს 300 ლარი, სულ 7800 (შვიდიათას რვაასი) ლარი.

მეოთხე შვილის შეძენის გამო ფინანსური დახმარება **გაეწია 9 ბენეფიციარს** თითოეულს 400 ლარი, სულ 2000 (ორი ათასი) ლარი.

მეხუთე და მეექვსე შვილის შეძენის გამო ფინანსური დახმარება გაეწია 6 ბენეფიციარს თითოეულს 500 (ხუთასი) ლარი, სულ 3000 (სამი ათასი) ლარი.

8. გარდაცვლილი ვეტერანის სარიტუალო ხარჯები აუნაზღაურდა ოთხ ბენეფიციარს თითოეულს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. სულ **1000** (ერთი ათასი) ლარი.

9. დღის ცენტრით მოსარგებლე ორ შშმ. პირს გაეწია ყოველთვიური ფინანსური დახმარება.

10. 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, ერთჯერადი ფულადი დახმარების გაეწია და სასაჩუქრე კალათები გადაეცათ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ორ ვეტერანს - 500 (ხუთი) ლარის ოდენობით.